თამარ მეფის გამზირი 15
თბილისი, საქართველო 0102

15 Tamar Mepe Avenue
0102, Tbilisi, Georgia

Tel: 219-95-67; 219-91-59
Fax: 219-91-51

10.01.2023
N 53

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
უფროსს თ. ფიცხელაურს

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
„13" 01 2023წ.
№ 197

ქალბატონო თამარ,

საქართველოს რკინიგზა
1872-დან

გაცნობებთ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის 27 აპრილის №4258/01 წერილში მოცემული შენიშვნების გათვალისწინებით, შესაბამისი ცვლილებები და დამატებები იქნა შეტანილი თბილისი-მახინჯაურის მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში არსებული, მოლითი-ხაშურის სარკინიგზო უბნის (მათ შორის სოფ.ზვარეს მიმდებარედ დაგეგმილი კმ 20+760-23+060 მონაკვეთი) პროექტში შეტანილი ცვლილებების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით, წამოგიდგენთ, თბილისი-მახინჯაურის მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში, მოლითი-ხაშურის სარკინიგზო უბნის (მათ შორის სოფ.ზვარეს მიმდებარედ დაგეგმილი კმ 20+760-23+060 მონაკვეთი) პროექტში შეტანილი ცვლილებების პროექტის კორექტირებულ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

ამასთანავე გთხოვთ, საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-5 მუხლის, მე-13 ნაწილის შესაბამისად, გააუქმოთ სარკინიგზო მაგისტრალის პროექტზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებები (23.09.2019 წლის №2-9124, 27.09.2019 წლის №2-935, 14.05.2019 წლის №2-405 და 28.02.2020 წლის №2-192) და გასცეთ გაერთიანებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ზვარესა და მოლითის უბნების საპროექტო ცვლილებების გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით.

წერილს დანართად ერთვის:

- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მოსაკრებლის გადახდის ქვითრის ასლი;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან სს „საქართველოს რკინიგზა"-ს რეგისტრაციის თაობაზე;

- თბილისი-მახინჯაურის მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში, მოლითი-ხაშურის სარკინიგზო უბნის (მათ შორის სოფ.ზვარეს მიმდებარედ დაგეგმილი კმ 20+760-23+060 მონაკვეთი) პროექტში შეტანილი ცვლილებების პროექტის კორექტირებულ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში - ერთი ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე - ერთი ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- ზვარეს სამშენებლო ბანაკის ექსპლუატაციის პროცესში ზედაპირულ წყლებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტი - 2 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- სოფ.ბეჟათუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე სამშენებლო ბანაკის ექსპლუატაციის პროცესში, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი - 2 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია და საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის გეოგრაფიული კოორდინატები GIS ფორმატში - CD დისკზე;
- ინფორმაცია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის 27 აპრილის №4258/01 წერილში მოცემულ შენიშვნებზე რეაგირების თაობაზე.

პატივისცემით,

კორპორატიული მართვის დეპარტამენტის უფროსი
ნინო ჯორბენაძე